პერსონალური მონაცემების დაცვის

პოლიტიკა

ტერმინთა განმარტება:

პერსონალური მონაცემი – ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს უკავშირდება. ფიზიკური პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, მათ შორის, სახელით, გვარით, საიდენტიფიკაციო ნომრით, გეოლოკაციის მონაცემებით, ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემებით, ფიზიკური, ფიზიოლოგიური ფსიქიკური, ფსიქოლოგიური, გენეტიკური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური მახასიათებლით.

განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემი – მონაცემი, რომელიც უკავშირდება ფიზიკური პირის რასობრივ ან ეთნიკურ კუთვნილებას, პოლიტიკურ შეხედულებებს, რელიგიურ, ფილოსოფიურ ან სხვაგვარ მრწამსს, პროფესიული კავშირის წევრობას, ჯანმრთელობას, სქესობრივ ცხოვრებას ,ბრალდებულის, მსჯავრდებულის, გამართლებულის ან დაზარალებულის სტატუსს სისხლის სამართლის პროცესში, მსჯავრდებას, ნასამართლობას, განრიდებას, „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დანაშაულის მსხვერპლად ცნობას, პატიმრობას და მის მიმართ სასჯელის აღსრულებას, აგრეთვე ბიომეტრიულ და გენეტიკურ მონაცემებს, რომლებიც ფიზიკური პირის უნიკალური იდენტიფიცირების მიზნით მუშავდება;

მონაცემთა დამუშავება – მონაცემთა მიმართ შესრულებული ნებისმიერი მოქმედება, მათ შორის, მათი შეგროვება, მოპოვება, მათზე წვდომა, მათი ფოტოგადაღება, ვიდეომონიტორინგი ან/და აუდიომონიტორინგი, ორგანიზება, დაჯგუფება, ურთიერთდაკავშირება, შენახვა, შეცვლა, აღდგენა, გამოთხოვა, გამოყენება, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება, აგრეთვე მონაცემთა გამჟღავნება მათი გადაცემით, გასაჯაროებით, გავრცელებით ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომით.

მონაცემთა სუბიექტი – ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომლის შესახებ მონაცემი მუშავდება

ინციდენტი – მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევა, რომელიც იწვევს მონაცემების არამართლზომიერ ან შემთხვევით დაზიანებას, დაკარგვას, აგრეთვე უნებართვო გამჟღავნებას, განადგურებას, შეცვლას, მათზე წვდომას, მათ შეგროვებას/მოპოვებას ან სხვაგვარ უნებართვო დამუშავებას

შესავალი

ტავ ურბან საქართველო ზედმიწევნით იცავს პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ საქართველოს კანონის და პერსონალური მონაცემების დაცვის სფეროში არსებულ ადგილობრივ და საერთაშორისო რეგულაციებს. კომპანიისთვის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს მასთან დაცული პერსონალური მონაცემების დაცვა და მათი სათანადოდ დამუშავება.

ტავ ურბან საქართველო ყოველმხრივ უზრუნველყოფს ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას, მათ შორის პირადი ცხოვრების, პირადი სივრცის, პირადი კომუნიკაციის და პერსონალური მონაცემების დაცვის კუთხით. კომპანიას მიღებული აქვს ყველა ზომა, რათა დაცული იყოს მგზავრების, დასაქმებულების და კომპანიასთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფი პირების პერსონალური მონაცემები და ამისთვის ატარებს გონივრულ ფარგლებში ყველა ტექნიკურ და ორგანიზაციულ ღონისძიებას.

მონაცემების დამუშავების მიზნები

მონაცემების დამუშავება ხდება მგზავრთა მომსახურების მიზნით, მათი გამგზავრების და მიღების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სერვისით უზრუნველყოფის მიზნით, მგზავრთა ბარგის შენახვის სერვისით უზრუნველყოფის მიზნით, თანამშრომლების სამსახურში აყვანის მიზნით და კომპანიის მიერ ხელშეკრულების გაფორმების მიზნით.

მონაცემთა დამუშავების პრინციპები

კომპანიის მიერ მონაცემები მუშავდება შემდეგი პრინციპების დაცვით:

- კანონიერად, სამართლიანად, გამჭვირვალედ და უზრუნველყოფილია მონაცემის სუბიექტის ღირსების შელახვის გარეშე დამუშავება.
- მონაცემთა შეგროვება/მოპოვება ხდება მხოლოდ მკაფიოდ განსაზღვრული ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად.
- მონაცემები დამუშავება ხდება მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც საჭიროა მონაცემის დამუშავების მიზნის მიღწევისთვის.
- მონაცემთა დამუშავებისას გატარებულია ისეთი ტექნიკური და ორგანიზაციული ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს მონაცემების დაზიანების, შეცვლის ან დაკარგვის საფრთხის მინიმუმამდე დაყვანას.

- მონაცემთა დამუშავება და შენახვა ხდება მხოლოდ მათი დამუშავების მიზნის მიღწევამდე, მიზნის მიღწევის შემდეგ ისინი ნადგურდება ან ხდება მონაცემების დეპერსონალიზაცია, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა.

მონაცემების დამუშავების საფუძვლები

კომპანიაში მონაცემები დამუშავება ხდება შემდეგი საფუძვლებით:

მონაცემთა სუბიექტის თანხმობით, გარიგებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისთვის, კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულებისთვის, მონაცემთა სუბიექტის განცხადების განხილვა / რეაგირებისთვის.

დამუშავებული მონაცემების კატეგორია

კომპანია ამუშავებს შემდეგი კატეგორიის მონაცემებს:

- განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემი
- არასრულწლოვანთა მონაცემი
- ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მონაცემი

კომპანია ლეგიტიმური მიზნებისთვის ამუშავებს ისეთ მონაცემებს როგორიც არის: სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, საცხოვრებელი მისამართი, დასაქმებულის ანაზღაურების რაოდენობა, დასაქმებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის ცნობა, დასაქმებულის ნასამართლობის შესახებ ცნობა და სხვა მონაცემები, რომელთა დამუშავება აუცილებელია კომპანიის პერსონალური მონაცემების დაცვის პოლიტიკაში გაწერილი ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად.

მონაცემთა სუბიექტები და მათი უფლებების დაცვა

კომპანიის მონაცემთა სუბიექტებს წარმოადგენენ:

- აეროპორტის მგზავრები
- კომპანიის აპლიკანტები და დასაქმებულები
- კომპანიასთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფი პირები

კომპანიისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და პრიორიტეტულია მონაცემთა სუბიექტების უფლებების დაცვა, რომელიც არის მთავარი ღირებულება პერსონალური მონაცემების

საერთაშორისო და ადგილობრივი კანონმდებლობისთვის. მონაცემთა სუბიექტებისთვის გარანტირებულია შემდეგი უფლებები:

1. მიიღოს ინფორმაცია მუშავდება თუ არა მისი პერსონალური მონაცემები კომპანიაში

2. გაიგოს მის შესახებ რა მონაცემები მუშავდება კომპანიის მიერ და მოითხოვოს ამ მონაცემების ასლის გადაცემა

3. მოითხოვოს ინფორმაცია მისი მონაცემების შენახვის ვადის შესახებ

4. რა სამართლებრივი საფუძვლით მუშავდება მისი მონაცემები

5. გაიგოს მონაცემების დამუშავების მიზანი

6. უკან გამოითხოვოს მის მიერ მიცემული თანხმობა(არსებობის შემთხვევაში) მონაცემების დამუშავებაზე

7. გაიგოს მოხდა თუ არა მონაცემების მესამე პირზე გადაცემა

8. მესამე პირზე მონაცემების გადაცემის შემთხვევაში ვისზე მოხდა გადაცემა, რომელი მონაცემების, როდის და რა სამართლებრივი საფუძვლით

აქ ჩამოთვლილი ინფორმაციის მიწოდება შეუძლია მოითხოვოს წერილობითი ფორმით. კომპანია ვალდებულია მოთხოვნიდან 10 დღის ვადაში უსასყიდლოდ მიაწოდოს მოთხოვნილი ინფორმაცია. ეს ვადა შეიძლება გაიზარდოს ობიექტური გარემოებების არსებობის შემთხვევაში

მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს მოითხოვოს მის შესახებ მონაცემების განახლება, ცვლილება, წაშლა ან განადგურება თუ მისი მონაცემები არასრულია, მოძველებულია, არასწორია, აღარ არსებობს მათი შენახვის საფუძველი ან უკანონო გზით არის მოპოვებული.

მე-6 და მე-7 პუნქტებში მოცემული უფლება ან სხვა უფლება შეიძლება შეიზღუდოს, მხოლოდ კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში, პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევის დროს.

ინციდენტის შემთხვევაში, თუ ის მაღალი ალბათობით გამოიწვევს მნიშვნელოვან ზიანს ან/და მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, კომპანია დაუყონებლივ აცნობებს ამის შესახებ მონაცემთა სუბიექტს, პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის 3-ე ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევის გარდა

მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს მიმართოს პერსონალური მონაცემების დაცვის სამსახურს ან სასამართლოს ზემოთ აღნიშნული უფლებების ან სხვა მისთვის მნიშვნელოვანი უფლების დარღვევის შემთხვევაში. ასვე შეუძლია მიმართოს კომპანიის პერსონალური მონაცემების დაცვის ოფიცერს.

წყაროები, საიდანაც ხდება მონაცემების მიღება

კომპანია პერსონალურ მონაცემებს იღებს:

- ავიაკომპანიებიდან, რომლებიც ოპერირებენ თბილისის საერთაშორისო აეროპორტში
- აპლიკანტებიდან ან/და დასაქმებულებიდან
- ფიზიკური და იურიდიული პირებისგან ვისთანაც კომპანია აფორმებს ხელშეკრულებას მისი საქმიანობის ფარგლებში
- საჯარო ორგანოებიდან

კომპანია მონაცემთა რაოდენობის, კატეგორიის, შენახვის ვადის და მონაცემებზე წვდომის განსაზღვრისას უზრუნველყოფს ისეთ ორგანიზაციულ და ტექნიკურ ზომებს, რომლებიც უზრუნველყობს მონაცემების მხოლოდ იმ მოცულობით დამუშავებას, რომელიც აუცილებელია დამუშავების კონკრეტული მიზნისთვის

მონაცემების გადაცემა და მისი მიმღებები

კომპანია მასთან არსებულ მონაცემებს აზიარებს მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში ან თუ მონაცემების მესამე პირზე გადაცემის თანხმობა მიღებული აქვს მონაცემთა სუბიექტისგან. ამ უკანასკნელს განმარტებული აქვს მისი მონაცემის გადაცემის მიზანი

მონაცემების მიმღებები არიან:

- საჯარო ორგანოები
- ავიაკომპანიები
- აუდიტორული კომპანიები
- ის იურიდიული პირები, რომლებთანაც კომპანიას დადებული აქვს ხელშეკრულება სხვადასხვა მომსახურების მიღებისთვის

მაგალითად კომპანია მისი დასაქმებულების მონაცემებს, მითივე თანხმობით უგზავნის კომერციულ ბანკს, სახელფასო ანგარიშის გახსნის და საბანკო ბარათის დამზადების მიზნით.

მონაცემების საზღვარგარეთ გადაცემის შემთხვევაში, იგზავნება იმ ქვეყანაში, რომელიც შესულია მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების მქონე ქვეყანათა ნუსხაში.

იმ ქვეყანაში გადაცემის შემთხვევაში თუ ის არ შედის მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების მქონე ქვეყანათა ნუსხაში გადაცემა ხდება, თუ მონაცემთა სუბიექტი წერილობით დაეთანხმა მონაცემთა გადაგზავნას, მას შემდეგ, რაც იგი ინფორმირებული იქნება გადაცემასთან დაკავშირებული რისკების თაობაზე, რაც გამომდინარეობს შესაბამისი დაცვის გარანტიების არარსებობის გამო.

მონაცემების გადაგზავნამდე კომპანია რწმუნდება, რომ გადაცემული მონაცემები სათანადოდ იქნება დაცული და მიმღები კომპანია გაატარებს შესაბამის ტექნიკურ და ორგანიზაციულ ზომებს.

მონაცემების შენახვა

მონაცემების შენახვა ხორციელდება დამუშავების მიზნის მიღწევამდე, მიზნის მიღწევის შემდეგ ხდება მონაცემების დეპერსონალიზაცია, ან წაშლა/განადგურება. მიზნების მიღწევის შემდეგ მონაცემების შენახვა ხდება კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში. მაგალითად კანონმდებლობის მოთხოვნით კომპანია ვალდებულია ფინანსური და ბუღალტრული დოკუმენტაცია შეინახოს 6 წლის განმავლობაში. საავიაციო მოვლენის შესახებ ინფორმაცია შენახული უნდა იყოს 7 წლის განმავლობაში. აღნიშნული განსხვავებული შენახვის ვადის გასვლის შემდგომ ხდება მონაცემების განადგურება.

ვინაიდან კომპანიას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება აეროპორტის მესაკუთრესთან - სახელმწიფო შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანებასთან“ აეროპორტის მართვის თაობაზე (BOT ხელშეკრულება), რომელიც ავალდებულებს კომპანიას, აეროპორტის ოპერირებასთან დაკავშირებული გარკვეული ინფორმაცია მიაწოდოს შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანებას“, ასეთი ინფორმაცია შენახული იქნება იმ ვადებით, როგორც ეს მოთხოვნილი იქნება ხსენებული ხელშეკრულებით ან მის საფუძველზე - შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების“ მიერ.

პერსონალური მონაცემების დაცვის ოფიცერი

კომპანიას კანონმდებლობის მოთხოვნის შესაბამისად ჰყავს პერსონალური მონაცემების დაცვის ოფიცერი. ოფიცერი მისი კომპეტენციის ფარგლებში კოორდინაციას და მონიტორინგს უწევს მონაცემების დამუშავების პროცესს. გასცემს შესაბამისს რეკომენდაციებს და მითითებებს კომპანიაში მონაცემთა დამუშავების პროცესის სრულყოფისათვის. მონაწილეობას იღებს და ქმნის კომპანიისთვის მონაცემების დამუშავებისთვის საჭირო რეგულაციებს, რომლებიც შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას. საკანონმდებლო ცვლილების შემთხვევაში შეაქვს შესაბამისი ცვლილებები შიდა რეგულაციებში, რადგან სრულად თანხვედრაში იყოს მასთან.

არსებობის შემთხვევაში განიხილავს კომპანიაში პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებულ შემოსულ საჩივრებს და განცხადებებს, აკეთებს საკითხის სრულყოფილ მოკვლევას და დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში ახდენს რეაგირებას. შესაბამის თანამდებობის პირებთან ერთად განსაზღვრავს პრევენციულ და ხარვეზის აღმოსაფხვრელად გასატარებელ ღონისძიებებს.

პერსონალური მონაცემების დაცვის ოფიცერი მონიტორინგს უწევს კანონის მოთხოვნების, ამ დოკუმენტის და სხვა მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებულ შიდა რეგულაციების შესრულების პროცესს.

მონაცემების დამუშავების დროს, ინციდენტის შემთხვევაში პერსონალური მონაცემების დაცვის ოფიცერი კანონმდებლობის შესაბამისად ატყობინებს პერსონალური მონაცემების დაცვის სამსახურს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ნაკლებსავარაუდოა, რომ ინციდენტი მნიშვნელოვან ზიანს გამოიწვევს ან/და მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის ადამიანის ძირითად თავისუფლებებს და უფლებებს.

მონაცემების უსაფრთხოება და დასაქმებულის პასუხისმგებლობა

კომპანიისთვის უმნიშვნელოვანესია მასთან დაცული მონაცემების უსაფრთხოდ შენახვა, რისთვისაც გატარებული აქვს სათანადო ტექნიკური და ორგანიზაციული ზომები.

ელექტრონულად არსებული მონაცემების დაკრაგვის, დაზიანების, შეცვლის და არაუფლებამოსილი პირის მიერ მათზე წვდომის შესაძლებლობა მინიმუმამდეა დაყვანილი, ვინაიდან კომპანიის შესაბამის სამსახურს გატარებული აქვს ყველა აუცილებელი ტექნიკური ზომები.

კომპანიაში შიდა რეგულაციებით დასაქმებულთათვის არსებობს მკაფიოდ გაწერილი ინსტრუქცია და ვალდებულებები ელექტრონული მასალების დამუშავებისთვის და მათი შენახვისთვის. ამ წესის დარღვევისთვის დასაქმებულს დაეკისრება კომპანიის შინაგანაწესით გათვალისწინებული დისციპლინალური პასუხისმგებლობა.

გამოყენებული არის უსაფრთხოების და კონტროლის სისტემები, წვდომის შეზღუდვები, რომელიც გამოყენებულია არაავტორიზებული წვდომის და სხვა არამართლზომიერი ქმდებებისგან თავის დასაცავად.

კომპანია მუდმივად ატარებს ყველა ზომას, რათა წლიდან წლამდე გააუმჯობესოს აიტი სამსახურის ტექნიკური ინფრასტრუქტურა და პროგრამული უზრუნველყოფა, ვინაიდან აღნიშნული დანაყოფი არის პასუხისმგებელი და უზრუნველყოფს კომპანიის ინფორმაციულ უსაფრთხოებას.

მატერიალური ფორმით არსებული მონაცემები ინახება მონაცემების დამმუშავებელ პირთან, რომელსაც გააჩნია ამ მასალების სათანადოდ შენახვის და მისი კონფედენციალურობის დაცვის ვალდებულება. აღნიშნული მოვალეობა გაწერილია კომპანიის შიდა რეგულაციებში.

კომპანიას გააჩნია მატერიალური დოკუმენტაციის შესანახი სპეციალური სივრცეები, სადაც შენახული მასალების უსაფრთხოებისთვის გატარებულია შესაბამისი ზომები.

კომპანიაში დასაქმებული ხელს აწერს პერსონალური მონაცემების დაცვასთან დაკავშირებულ ვალდებულების დოკუმენტს, რომელიც არის შრომითი ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი და მისი დარღვევის შემთხვევაში თანამშრომელს დაეკისრება პასუხისმგებლობა.

კომპანიის თანამშრომელი ვალდებულია დაიცვას მგზავრების პერსონალური მონაცემები, კანონმდებლობის და კომპანიის შიდა რეგულაციების დაცვით მოახდინოს მათი სათანადოდ დამუშავება და დაიცვას ისინი გამჟღავნებისგან, შეცვლისგან,წაშლისგან და დაკარგვისგან.

კომპანიაში დასაქმებული ვალდებულია არ გადასცეს მისი სამსახუროებრივი მოვალეობის ფარგლებში მიღებული პერსონალური მონაცემები სხვა პირს და დაიცვას მისი კონფიდენციალურობა. აღნიშნული ვალდებულება ნარჩუნდება მისი სამსახურიდან წასვლის შემთხვევაშიც. ამ მოთხოვნის დარღვევისთვის მას დაეკისრება შესაბამისი პასუხისმგებლობა.

სხვა დებულებები

1. მონაცემების დამუშავების საკითხები, რომლებიც არ არის განსაზღვრული მოცემულ დოკუმენტში, რეგულირდება კომპანიის შიდა რეგულაციებით და კანონმდებლობის მოთხოვნით.

2. კომპანია უფლებას იტოვებს ნებისმიერ დროს შეიტანოს ცვლილებები პერსონალური მონაცემების დაცვის პოლიტიკის დოკუმენტში.